დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება და სკოლის კონცეფცია

(ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება)

სკოლა თაობის კონცეფცია და განვითარების სტრატეგია

2021-2022 სასწავლი წლის დასაწყისისთვის სკოლის ადმინისტრაციის მიერ შემუშავდა და შემდგომში დაინერგება კონცეპტუალური განვითრების სტრატეგია.

სკოლის კონცეფცია აგებულია მოსწავლის ირგვლივ და გულისხმობს, რომ მოსწავლემ I კლასიდან XII კლასის ჩათვლით მიიღოს სრულფასოვანი აკადემიური განათლება, განუვითარდეს ემპათიური უნარ-ჩვევები და ინტელექტუალური შესაძლებლობები.

კონფეფციის მიზანია მოსწავლე იყოს არამხოლოდ განათლებული, არამედ განვითარებული ინტელექტუალური შესაძლებლობის და ადამიანური ღირებულებების მატარებელი სრულფასოვანი პიროვნება.

კონცეფცია თავის თავში გულისხმობს განვითარების 3 ხაზს:

- **აკადემიური ხაზი - მიზანი:** მოსწავლემ I კლასიდან სწავლის დასრულებადე მიიღოს დადგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამების ირგვლივ საფუძვლიანი, დამატებითი, მრავალფეროვანი და ალტერნატული ცოდნა-განათლება.
- **ემპათიის ხაზი - მიზანი:** მოსწავლეს I კლასიდან განუვითარდეს და ჩამოუყალიბდეს ეპათიური უნარ-ჩვევები, სწორი ღირებულებები და დამოკიდებულებები, გახდეს მეტად ადაპტირებული გარემოში და განუვითარდეს ემოციური ინტელექტი.
- **აქტივობების ხაზი - მიზანი:** გართობა, შეჯიბრობითობა, სხვადასხვა უნარების განვითარება და გაღრმავება, საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა და ა.შ.

სტრატეგიის 3-ვე ხაზი არის კონცეპტუალური: ისინი ავსებენ ერთმანეთს და გამომდინარეობენ ერთმანეთისგან. სტრატეგიის მთავარი კონცეფცია არის ის, რომ მოსწავლე სწავლების ყოველ საფეხურზე მიიღებს განსაკუთრებულ აკადემიურ განათლებას, გაიღრმავებს ინტელექტუალურ და ემპათიურ უნარ-ჩვევებს, ხოლო სტრატეგიის ყველა პროგრამა ორიენტირებული და მორგებული იქნება მოსწავლეზე (მის ასაკზე და შესაძლებლობებზე).

აკადემიური ხაზი:

მიმართულება	აღწერა	განხორციელება
თანამედროვე სწავლების მეთოდები	სკოლის ფსიქოლოგისა და მასწავლებელთა მონაწილეობით დაიგეგმოს და დაინერგოს სწავლების თანამედროვე, ინოვაციური მეთოდები, რომელთა მთავარი მიზანია მოსწავლეთა დაინტერესება, ჩართულობის გაზრდა და განვითარება.	2022-2023 სასწავლო წლიდან
VII კლასიდან გერმანული ენის სწავლება ფაკულტატივის სახით	რომლის მიზანია გერმანული ენის საფუძვლიანად შესწავლისთვის დაინტერესებულ მოსწავლეებს მიეცეთ დამატებითი შესაძლებლობა.	2021-2022 სასწავლო წლიდან
თემატური კლუბები	კლასების მიხედვით შემუშავებულია დამატებითი პროგრამები, რომლების მთავარი მიზანია აკადემიური ცოდნის გამრავალფეროვნება და განვითარება. მოცემული პროგრამები განხორციელდება შესაბამის თემატურ კლუბებში: ➢ V კლასი - კლუბი „სამყარო საინტერესოა“ ➢ VI კლასი - კლუბი „ბერძნული მითოლოგია“ ➢ VII და VIII კლასი - კლუბი „მსოფლიო კულტურა“ ➢ IX კლასი - „მსოფლიო მოთხრობების მკითხველთა კლუბი” ➢ X კლასი - კლუბი „იდეები და ღირებულებები“ ➢ XI კლასი - კლუბი „უდიდესი მოაზროვნეები“	2021-2022 სასწავლო წლიდან
დამატებითი ლიტერატურა	თითოეული მასწავლებელი ცდილობს მუდმივად გამოიყენოს დამატებითი ლიტერატურა და რესურსები, ჩვენი მიზანია აღნიშნული რესურსების საუკეთესო ნაკრების დაკომპლექტება.	2022-2023 სასწავლო წლიდან

ემპათიის ხაზი:

მიმართულება	აღწერა	
ეთიკის საათი I-II კლასში	აღნიშნული პროგრამით საგაკვეთილო ცხრილში განისაზღვრება ეთიკის საათი, რომლის ფარგლებში ისწავლება ეთიკის საკითხები, გამოიყენება **ზღაპართერაპია და დიდაქტიკური თამაშები.** აღნიშნულის მიზანია ბავშვების ემპათიური უნარების გამომუშავება და განვითარება.	2021-2022 სასწავლო წლიდან
სადამრიგებლო საათის გამრავალფეროვნება	სადამრიგებლო საათიში მოცემულია ზოგადი მიმართულებები, რომლის ირგვლივადაცაა აგებული სადამრიგებლო აქტივობები. ჩვენი მიზანია მაქსიმალურად გავამრავალფეროვნოთ სადამრიგებლო აქტივობები, რომლის შემუშავებაშიც დამრიგებლებთან ერთად ჩართულია სკოლის ფსიქოლოგი.	2021-2022 სასწავლო წლიდან

კლუბი „სიბრძნე მინიატურებში“	V-VI კლასელებისთვის შეიქმნება კლუბი „სიბრძნე მინიატურებში“. აღნიშნულ კლუბში ბავშვები განიხილავენ სხვადასხვა იგავებს და შექმნიან საკუთარ იგავებს. მოცემული კლუბის მიზანია ბავშვებს განუვითარდეთ ემპათიის უნარები და მორალური ღირებულებები.	2021-2022 სასწავლო წლიდან
კლუბი „საინტერესო კვირეულები“	აღნიშნული კლუბში საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები გაერთიანდებიან. კლუბის ფარგლებში იგეგმება სხვადასხვა თემატიკის კვირეულები და იგეგმება აქტიოვბები. მაგ: ტოლერანტობის კვირეული, ოჯახის კვირეული, საახალწლო კვირეული, ჯანსაღი ცხოვრების კვირეული. კლუბში თითოეული კვირეული დაიგეგმება 2 მიმართულებით: 1. ინფორმაციული შეხვედრა; 2. აქტივობების დაგემვა და განხორციელება. აღნიშნული კლუბის მიზნია ბავშვებში თვალსაწიერის გაფართოება და ჯგუფური აქტივობების, ინიციატივის უნარების გამომუშავება.	2021-2022 სასწავლო წლიდან
„Podcast“ კლუბი	აღნიშნული კლუბის ფარგლებში საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან ერთად გაიმართება შეხვედრები და თავისუფალი დისკუსიები სხვადასხვა აქტუალურ და თავისუფალ თემებზე, პარალელურად იგეგმება სახალისო და განმავითარებელი თამაშები და აქტივობები. კლუბის მიზანია ბავშვებს განუვითარდეს კრიტიკული აზროვნება და მსჯელობითი უნარები.	2022-2023 სასწავლო წლიდან
კლუბი „ვირჩევთ პროფესიას“	აღნიშნულ კლუბში გაერთიანდევიან დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები (XI-XII). კლუბის მიზანია დავეხმაროთ მოსწავლეებს შეარჩიონ სამომავლო პროფესია. კლუბის ფარგლებში განხორციელდება ფსიქოლოგიური აქტივობები, სალექციო კურსები სხვადასხვა პროფესიების შესახებ, დაიგეგმება (შემლებისდაგვარად) სტაჟირებები. აღნიშნულ კლუბში ასევე დაიგეგმება მედიაწიგნიერების უნარების განვითარება. კლუბის მიზანია დავეხმაროთ მოზარდებს საკუთარ თავში გარკვევაში და მომავალი პროფესიის არჩევაში.	2022-2023 სასწავლო წლიდან

აქტივობების ხაზი:

მიმართულება	აღწერა	
სპორტული შეჯიბრებები	➢ ფეხბურთის ჩემპიონატი ➢ კალათბურთის ჩემპიონატი ➢ მაგიდის ტენისის ჩემპიონატი ➢ ბადმინტონის ჩემპიონატი ➢ ფრენბურთის ჩემპიონატი ➢ ჭადრაკის ტურნირი ➢ მხიარული სტარტები მიზანი: შეჯიბრობითობის და ფიზიკური უნარების განვითარება	2021-2022 სასწავლო წლიდან
ინტელექტუალური კლუბი რა? სად? როდის?	შემოდგომის და გაზაფხულის სერიები ინტელექტუალურ თამასში რა? სად? როდის?. კლუბის ფარგლებში საინტერესო კითხვების გენერირება და შემდგომ ტურნირების მოწყობა. მიზანი: ინტელექტის განვითარება.	2021-2022 სასწავლო წლიდან
დებატ-კლუბი	დებატ კლუბში ხორციელდება სხვადასხვა თემატიკაზე დებატი, ასევე დებატების ტექნიკის განვითარება, ვარჯიში და შეჯიბრებები: ➢ კარლ-პოპერის სახელობის დებატები; ➢ კარლ-პოპერის პოლიტიკური დებატები; ➢ კონსტრუქციული დებატები; ➢ ბრიტანულ-საპარლამენტო დებატები; მიზანი: კრიტიკული აზროვნების განვითარება.	2021-2022 სასწავლო წლიდან
ვიქტორინები	ჩატარდება სხვადასხვა სახის ვიქტორინები სხვადასხვა საგანის ჭრილში, რომელთა მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების პროცესი გახდეს მეტად სახალისო, საინტერესო და მოსწავლეებმა შეძლონ თავიანთი ცოდნის დემონსტირერება: ➢ მელომანი; ➢ ესეების კონკურსი; ➢ ხატვის კონკურსი; ➢ სხვადასხვა საგნობრივი ვიქტორინები:	2021-2022 სასწავლო წლიდან